

F 24
1887

~~თეატრი~~

292
თეატრი
1887-1888

თეატრი

1-6-8-14

საყოველ-კვირამო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი


1887 წელს № 13 ჭ 14 აპრილის 26.

გაზეთი ღირს: ერთი წლ. 5 მ., ნახ. წ. 3 მ., ცალკე ნომ. 15 კ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქ. კანტორაში. ფოთში ესარ. კალანდაქსთან. ადრესი გარეშე მცნოვრებთათვის: **Годпись въ редакцію газеты «ТЕАТРЪ.»** გაზეთი ისუიდება: თბილისში; ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ხიდის ყურთან; ალინანოვის შაპიროზის მაღაზიაში. ქუთაისში; გილაძეთ წიგნის მაღაზიაში და ბათუმში პარიკმანერ არსენასთან.

საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორექსპონდენცია) გარკვევით უნდა იყოს დაწერილი. თუ საჭიროება მოითხოვს წერილებს რედაქცია შეასწორებს. რედაქცია არა კისრულობს წერილების უკან გაგზავნას და მათ შესახებ მიწერ-მოწერას. ყოველ წერილში უნდა იყოს მოხსენებული: სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დამწერისა.

რედაქციამ ბეჭდვას გაზეთი «თეატრი»-სა კ. ჩარკვიანის სტამბიდან გადაიტანა ბ. ექ. ხელამეს სტამბაში; ამისათვის № 13 თავის დროსედ ვერ გამოვიდა.

„თეატრი“-ს რედაქციას აქვს წარსული წლების №№ და მათთან გამოსული სურათები: ორბელიანი-ს, მესხი-ს, ალექსანდრე ჭავჭავაძისი, ილია ჭავჭავა-



ქესი, აკაკისა, შოთა რუსთაველისა, პოლიერისა, შექს-
 ჰირისა, ოსტროვსკისა, რაფ. ერისთავისა და იოსებ
 დავითაშვილისა.

1886 წლის №№ თავის სურათებით ღირს 3 მან.	
1886 „ „ „ „ „ „ 4 „	
ორივე წლისა ერთად „ „ „ 6 „	

თითო სურათი, საუკეთესო ქაღალდზე

დაბეჭდილი, ღირს „ „ „ „ 30 კ.
ცოტა მდარე ქაღალდზე „ „ „ „ 20 „

შინც ისურვებს ფულის გამოგზავნას, მანეთზედ ნაკლები
 შეუძლიან ფოსტის „მარკებით გამოგზავნოს.

როგორც წარსული წლების №№-ბის, აგრეთვე
 სურათების გამოსაწერად გთხოვთ ჰირ-და-ჰირ რედ-
 აქციას მოჰმართოთ, შემდეგი ადრესით:

**Г. Тифлисъ. Въ Редакцію газеты
 „ТЕАТРЪ“.**

ამავე ადრესით მიიღება გაზეთზე სელის მოწერა
 ამ 1887 წ.

თბილისში მცხოვრებთათვის ადრესი: „თეატრი“-ს
 კანტონა. (ოქრომჭედლების ქუჩა, ბარისოვის სახლე-
 ბი, № 48).

პ. ა. აბაშიძე.

(1877—1887 წ.)

არ შეგვიძლიან არ ვაცნობოთ ბ. ბ. მკითხველებს ფრიად სასიამოვნო ამბავი.

აპრილის 5-ს, ჩვენს ნიჭიერს და დაუღალავს მშრომელს, ქართული დრამატული დასის არტისტს ბ. ვასილი ალექსის ძეს აბაშიძეს შეუსრულდა ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც პირველად გამოვიდა სცენაზედ.

ამის გამო სამს მანისს, ამა წლისას, ქართული დრამატული ხელოვნების მოუვარეთ განუზრახავთ პატივი სცენ ათის წლის დაუღალავის და სასარგებლო სამსახურისათვის სამშობლო თეატრის ასპირანტად, ჩვენს ნიჭიერს და ფრიად დახელოვნებულს არტისტს კომიკს ვასილი ალექსის-ძე აბაშიძეს. ათი წელიწადია რაც დაარსდა ჩვენში დრამატული დასი და პირველი წარმოდგენიდან იგი განუწვევლათ იღვწის და შრომობს სამშობლო თეატრისათვის, როგორც თავის საუცხოო და ხელოვნურის თამაშით, აგრეთვე ძრავალი პიესების თარგმნით. იმედი გვაქვს რომ ბევრნი, ჩვენის მოწინავე საზოგადოების წევრნი, ფაქტურად მიიღებენ მონაწილეობას და ათის წლის სამსახურისათვის ერთსელ მანაც დახვილდრეკებენ თავისი ურბადლებით, ამ საუვარელს არტისტს, რომელსაც არა ერთსელ დაუტკობია საზოგადოება ხელოვნური თამაშით.

3-ს მაისს, ამ სადღესასწაულოთ, არწრუნისეულ თვატრში გამართული იქნება ქართული წარმოდგენა, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი საუკეთესო არტისტები: მ. მ. საფაროვისა, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა, მ. მ. ლეონიძისა, კოტე ეიფიანი, კოტე მესხი, თვით ბ. ვ. აბაშიძე, ა. მოხევე, ი. ცაგარელი, გ. მაქსიმიძე და სხვანი. წარმოდგენა შესდგება შემდეგის ჰიესებიდამ: ორი მოქმედება გოგოლის კომედიიდან «რევიზორი» (მეორე და მესამე მოქმედება), სუნდუკიანცის კომედიიდან «ხათაბალა» (მეორე და მესამე მოქმედება), ცაგარლის კომედიიდან «ხანუმა» (მეორე მოქმედება) და მესუთე მოქმედება შილლერის ტრაგედიიდან «ვაზსაკები». როლები ასეა განაწილებული: მ. საფაროვისა (გოროდნიჩის ქალი და ნატალია), ნ. გაბუნია-ცაგარლისა (გოროდნიჩის ცოლი, სამფერა და ხანუმა) მ. ლეონიძისა (ქეთევან და სარა), კ. ეიფიანი (გოროდნიჩი და სამბახოვი) ა. აბაშიძე (სლესტაკოვი, ისაია და აკოფა) კ. მესხი (ოსიპი და ჭრანც მოორი), ა. მოხევე (შემლიანიკა, მასისიანცი და ფანტიაშვილი), ი. ცაგარელი (სლოპოვი, ტუუილ-კოტრიანცი და დანიელი) გ. მაქსიმიძე (ბობინსკი, სარქისა და კოტე ფანტიაშვილი). სრული იმედი გვაქვს, რომ ამ წარმოდგენაზე დიდ ძალი ხალხი დაესწრობა, ეს მით უფრო რომ ვ. აბაშიძე, ვიმეორებთ, საუვარელი და ჰატვისაცემი არტისტია, პროგრამა საუკეთესო ჰიესებისაგან არის შემდგარი და ჩვენი ნიჭი-

ერი არტისტები თამაშობენ. ეს არის უკანასკნელი წარმოდგენა ბ. ვ. აბაშიძეს მონაწილეობით, რადგანაც, როგორც შევითვალთ, ბ. აბაშიძე, ავანტიურის კამო, თეატრს სრულიად თავს ანებებს.

შემდეგ ნომერში იქნება ვ. ა. აბაშიძის მოღვაწეობის ვრცელი აღწერა და სურათი.

ვისაც ჭსურს, ვასილ აბაშიძის პატივ-საცემლად, ამ დღესასწაულობაში მონაწილეობა მიღოს, შეუძლიან ესლავე მიჭმართოს ქართული თეატრის კასნაში, კასნირს ვ. გუნას, ყოველ-დღე 12 საათიდან 2 საათამდე.

თეატრის კვირა.

თბილისელ „ვიდაც“ გასათხოვარ ქალებს უთხოვნიათ გრანდ ტოლსტოისათვის ამოგვირჩიე რამე საქმეო. ამის პასუხათ გრანდ ჯეკ ტოლსტოის მოუწერია მათთვის შემდეგი: „თქვენა პიათსაგთ საქმეს. გარდა ჩვენ ყველასთვის საზოგადო საქმისა, ეცადეთ შეამციროთ ის შრომა, რომელსაც სხვები ხმარობენ ჩვენა ცხოვრების დასაკმაყოფილებლად—შეამოკლეთ თქვენი მოთხოვნილება და გააკეთეთ თქვენის ხელით ის, რის გაკეთებაც შეგიძლიანთ, არამც თუ მარტო თქვენთვის, არამედ სხვისთვისაც;—ვინც ცოდნას იძენს იმისათვის სხვაც არის საქმე: გაუნაწილოს სხვებს თავისი ცოდნა, დაუბრუნოს თავისი ცოდნა იმ ხალხს, ვინც გაგვზარდა. აი ამისთანა საქმეც მე მაქვს.

„მოსკოვში არიან გამოძცემლები სახალხო წიგნებისა: ანბანებისა, არითმეტიკებისა, ისტორიებისა, კაღენდარებისა, წვრილი ამბებისა და სხვ. უველა ეს იყოლება იმიტომ კი არა, რომ მათი შინაარსი არის საყურადღებო — იმიტომ

რომ მუიდედლები ჰყავთ მიჩვეული და არიან მოხერხებული გაბუიდავები. ერთი ამ გამომცემელთაგანი არის სიტინი (СЫТИНЪ) ჩემი კარგი ნაცნობი, კარგი კაცი, და მარტო ეს ცდილობს ამ გვარ გამოცემათა შინაარსის გაუმჯობესობას.

«საქმე, რომელსაც მე თქვენ გირჩევთ შემდეგია: აიღეთ ერთი, ან რამდენიმე ამ წიგნთაგანი: ანბანი, კალენდარი, ან რომანი (უფრო ბევრი ჯაფა მოგინდებათ მოთხრობებზე: ესენი ძალიან ცუდებია და ბევრი კი იყიდება) წაიკითხეთ და გაასწორეთ, ან და—სუფ გადააკეთეთ.

„მარტო სტამბის შეცდომები, გეოგრაფიული და ისტორიული უზნობა, რომ გაასწოროთ ისიც კი გასარგებლებთ, ამისათვის, რომ რაც უნდა ცუდი წიგნი იყოს, მინც ბევრი გაგვიყიდებათ: „სარგებლობა“ კიდევ ის იქნება, რომ უფრო ნაკლებ სიტუტუტეს გარდასცემთ ხალხსა. თუ ამასთანვე გამოაკლებთ უზნეო, ხასიეთის გამაფუჭებელს ადგილებს და მათ მაგიერ ჩაუმატებთ სხვა რამეს ისე, რომ აზრი არ დაირღვეს—ეს უფრო კარგი იქნება. თუ ისარგებლებთ იმათი (მოთხრობისა, რომანისა და სხვ). არაკით და იმავე სათაურით შეადგენთ ახალ მოთხრობას, ან რომანს კარგი შინაარსით—ამაზე უკეთესი ხომ აღარა იქნება. ამასვე გეტყვიან კალენდარებზე, ანბანებზე, ისტორიებზე და სხვ. თუ ამ გვარი მუშაობა გესიამოვნებათ, ამოირჩიეთ ის, რაც უფრო მოგწონთ, რასაც, თხვენი აზრით, უფრო ხალისით გააკეთებთ, მომწერეთ და მე გამოგიგზანით. მე გამოგიგზავნით რამდენსამე წიგნს. ჩემთვის ძალიან სასურველია დამთანხმდეთ ამ ჩემს წინადადებაზე.

ეს სამუშაო, უეჭველად, სასარგებლოა. რამდენიც უფრო ხალისით და სიყვარულით შეუდგებით ამ საქმეს, იმდენად მომეტებულს სარგებლობას მოუტანთ ხალხს.

«თქვენი ლევ ტოსტოი».

ამ გასათხოვარ ქალებს (თუ ქართველები არიან) ადბად აქაც უთხოვნიათ ვისთვისმე ამ გვარივე შეიწეობა, დარიგება, თორემ რა იცოდნენ, რომ ჩვენში ვერ იპოვნიან იმისთანა კაცს, რომელიც შეეწევა მათ როგორც „წიგნების გამოგზავნით“ ისე სიტყვით... ეხლა ის არის საინტერესო: ვინ უფრო რა მოიწონა და რა სთხოვა გრაფ ტოლსტოის?

— ჩემის აზრით, ისინი, ვინც წინათ წერილით მიჰმართეს მას, ამოირჩევენ სხვა და სხვა შინაარსის წიგნებს, მაგრამ ამ არჩევანში თუ სხვა ქალებიც შეიყვანეს, დარწმუნებული ვარ, მომეტებული ნაწილი სთხოვდა გრაფ ტოლსტოის, გამოეგზავნა მათთვის იმისთანა ქურნალები სადაც ვრცლად არის აწერილი ტიურ-ნიურები და მათი აშენების „სეკრეტი“.

* * *

როგორც გვატყობინებენ ქუთაისიდან, ქუთათურები ჰგზავნიან დეკუტატებს ვ. ა. აბაშიძის ათის წლის იუბილეის წარმოდგენაზე (3 მის) დასასწრობათ.

* * *

ბ. ადნიაშვილის ხორა დაბრუნდა თბილისში. სხვა ქალაქებში ხალხი ცოტა დასწრებია იმის კონცერტებზე. ჩვენის აზრით ბ. ადნიაშვილისაგან დაწყობილი საქმე დიდათ საყურადღებოა. მამ რას ნიშნავს ეს გულ-გრილობა? იქნება მართალი იყვნენ ისინი, ვინც ამბობენ რომ...?

* * *

ამ ქამად ჩვენ ქალაქში იმყოფება ცნობილი კრიტიკოსი და პუბლიცისტი ნ. მიხაილოვსკი. ამ ზაფხულს აბასთუმანის წყლებზე აპირებს წასვლას.

* * *

კვირას, 19 აპრილს, მობძანდა ახლად დანიშნული

თბილისის გუბერნატორად დეისტვიტეილი სტატსკი სო-
ვეტნიკი «კარლ ლვოვიჩ ზისსერმანი».

* *

მკითხველებმა უკვე იციან, რომ ბაქოსკენ მიმავალი ხაღის
მატარებელი რეისებიდამ გადავარდა და შიგ მსხდომნი
ბევრი მოკლა და ბევრი დაასახინრა. ამ აპრილის სამს მოი-
ტანეს და თბილისის სასაფლაოზე დაასაფლავეს გარდა-
ცვალებულთა გვამნი.

* *

ამ უკანასკნელ დღეებში ქალაქის სამმართველოს წინ
გავლის ილაჯი აღარ არის. მშობლები და ახალ გაზდა
კაცები მოგროვილან და შინჯავენ გამოფენილს სიებს,
რომელშიაც არის ჩაწერილი სახელი და გვარი იმ
პირთა, ვინც ამ წელიწადს უნდა გადაიხადოს სამხედ.
რო. ბეგარა.

* *

როგორც ვიცით ბ. აკაკის იუბილეი გადიდო მომა-
ვალი მაისისათვის.

ამ საქმის მოთავენი თუ ენლავე არ ამოარჩიეს, და-
გვიანდება და შემდეგ არც კი აღარავინ იკისრებს ამ არა
ადვილ საქმეს; რომ იკისროს კიდევ ვინმემ, ვეღარ მოას-
წრებს რიგიანად მომზადებას. ამისათვის არ იქნებოდა
ურიგო, რომ ენლავე შეუდგნენ ამ საქმეს.

ბევრი ჩიინი არ უნდა: ვისაც უუვარს სამშობლო,
იმას უნდა უუვარდეს... პოეტის.

* *

გათბა დღეები და გააჩადა ბ. ლორთქიფანიძემ თავი-
სი „ტრამვაი.“ მარმანდელს შენობას კიდევ მიუმატა. კრა-



მიტით დახურულ ფანჯატურს ქვეშ მოთავსდება ათასზე მეტი კაცი. ფანჯატური ორად არის გაყოფილი: ადგილები დაბალი ხაღხისათვის არის ცაღკე და ინტელიგიენტებისათვის ცაღკე. დაბლა მინდორზე კიდევ მოუმატებია გძელი სკამები, ასე რომ „ტრამვაი“-ში თავისუფლად მოთავსდება 6—7 ათასამდე კაცი. წელს უფრო საინტერესო იქნება „ტრამვაი“, სანამ შარშან, რადგანაც, როგორც შევიტყუთ, ბ. ლორთქიფანიძე აპირებს ქართველ და რუსულ მომღერლების ხოროს მოწვევას. დმერთმა ხელი მოუშართოს! იქნება წელს მაინც გვქონდეს თბილისელებს ერთად-ერთი ადგილი, სადაც შეგვეძლება სადამსადამოებით წასვლა, გართობა და დასვენება წმინდა ჭარზე, მთელი დღის შრომის შემდეგ.

4 5 4 * *
3 4

აპრილის 30-ს თბილისის სომხური დრამატული დასის არტისტები, არტისტს ჩიმიშკიანს ოცდა ხუთი წლის იუბილეის უხდიან. ბატ. ჩიმიშკიანმა რამდენჯერმე ქართულ წარმოდგენებშიაც მიიღო მონაწილეობა.

* *

როგორც შევიტყუთ დრამატული საზოგადოების კომიტეტი დაიწეებს წარმოდგენებს სექტემბრიდან. იმედი გვაქვს, რომ ამ ზაფხულს შეამზადებს (გადააწერინებს), როგორც ახალ პიესებს, ისე როდებებსაც.

არ იქნებოდა ამასთანავე ცუდი და არც უდროვო, დაენიშნათ საზოგადო კრება და წარმოედგინათ ანგარიში წარსული სეზონის შემოსავალ გასავლისა.

* *

რუსულ სცენას კიდევ მოაკლდა ერთი დიდება: გარდაიკვალა არტისტი ვასილი ვასილის ძე სამოილოვი.



სამოილოვმა შეასრულა გურსი „გორნი ინსტიტუტი ში“ და შევიდა კიდეც სამსახურში. ზოგი ერთებმა ურჩიეს გამოეცადათ თავისი თავი აქტორობაში—მიეღო დებიუტი სამეტრეტორა სცენაზე. სამოილოვი დათანხმდა. პირველად გამოვიდა მიუგელის ოპერაში „მშვენიერი იოსები.“

რასაც მოელოდნენ ერთი ათათ გადააჭარბა სამოილოვმა და ამის შემდეგ იღებდა მონაწილეობას ჯერ ოპერაში და შემდეგ გადავიდა დრამატულ როლებზე.

მაშინ იყო საუკეთესო, ბრწყინვალე დრო რუსული დრამისა: ცოცხლები იყვნენ გამოჩენილი არტისტები: კარატიგინი, მაქსიმოვი, მარტინოვი სოსნიცკი და სხვ. და სამოილოვი ერთბაშად გამოირკვა, დაწინაურდა მათში თავისი ნიჭით და განსაკუთრებით გრიმიროვკით. შემდეგში პირველი ადგილი დაიკვიდრა რუსულ სცენაზე. ამ ბოლოს დროს თეატრის დირექციასთან ცოტა რამ უკმაყოფილება მოუვიდა და სულ თავი დაანება სცენას. ათასში ერთხელდა იღებდა მონაწილეობას კერძო წარმოდგენებში, ისიც მარტო მაშინ, როდესაც ეს წარმოდგენები იმართებოდა საქველმოქმედოთ. წარსულს წეღს იდდესასწაულეს 50 წ. იუბილუი სამპურატორა დასის გამოჩენილი არტისტის ვასილი ვასილის ძე სამოილოვისა.

უ ც ხ რ ე თ შ ი

(მატარა მოთხრობა)

I

მათე ნამორელი პარისის საექიმო აკადემიაში რო სწავლობდა, ძალიან ღარიბად ცხოვრებდა. მისი მშობლები სიღარიბის გამო სამს თთვეში ერთხელ ათს თუმანს უგზავნიდენ.

აბა ამ ფულით სტუდენტი, და მერე საექიმო ფაკულტეტისა, როგორ მოახერხებდა გაუჭირებლად ეცხოვრა! მას ეჭირა მეექვსე სართულში ერთი პატარა ოთახი, რომლის მართულობაც იყო ერთი საწოლი, ერთი ტაბლა და ერთი სკამი. ცხენის ან ჯორის ხორცის ბიეტეკი და ყერვეს უველი მის ჩვეულებრივი საქმელი იყო. ღვინოს, ჩაის და ყავას შემთხვევით თუ დალევდა. სამოსელიც შესაფერად ზომიერის ღირებებისა ეცვა.

ნამორელის ამხანაგები, რომლებიც ცოტა უკეთ ცხოვრობდნენ, რადგან მათ თთვეში ოთხი ან ხუთი თუმანი მისდიოდათ, მის ჩვეულებრივს დაყურსებას გაჭირებულს მდგომარეობას აწერდნენ. მათ შიშიც ჰქონდათ არ დაკლებდესო და ამიტომ ცდილობდნენ როგორმე ხელი გაემართათ. მაგრამ ნამორელი ხერხიანად ერიდებოდა მათ დახმარებას. ის თავის დღეში არ ისესხებდა მათგან ფულს; სადილზე ან სასამელზე იშვიათად დაეპატიებოდა. მე არა მიჭირს-რა, ცხენის ხორცი იაფიაო, იტყოდა ხოლმე.

ნამორელის ჩვეულებრივი დაყურსება მხიარულებად შეიცვლებოდა ხოლმე, როცა ის ამხანაგებში ბაასს დაიწყებდა. როგორც სერიოზს მსჯელობაში, ისე მასხრობაში ის ერთი პირველთაგანი იყო. ზოგს ის ემასხრებოდა, ზოგი მას. მასხრობის სხვა საგანთა შორის პირველი ალაგი ქალებს ეჭირათ, და ამას თავის მიზეზიც ჰქონდა. ნამორელი საშინელი სილამაზის მოყვარე კაცი იყო. მას ლამაზი ქალები გაგიყვებით უყვარდა. ამხანაგებმა ეს იცოდნენ და აგრეთვე ისიც იცოდნენ, რომ ნამორელი პარისში ქალებს არ მიჰკარებოდა. მათეს გაეგონა, რომ ქალები ფულებს ითხოვენ ვაჟებისაგანაო და ამის გამო დალაპარაკებასაც ვერა ჰბედავდა ქალთან.

— ჰა, მათე, მგუსტინი მოგწონს განა?—ეტყოდა ერთი.

— მიწერ-მოწერაცა აქეთ ერთმანერთანა. — დაუკრავდა კვერს მეორე.

— არა, ჩვენ რომ გვიმაღავ, რად გვიმაღავ, მათე? არ შეგეცილებით! — მესამე დაუმატებდა.

მათე ამ დროს იღიმებოდა და პასუხად ეტყოდა ერთ-ერთს

— ოგუსტინი კი არა და, შენი ლუიზი როგორ არი?

— ამისთანა ლაზღანდარობაში მათეს ამხანაგები შეთხზავდნენ ვითომც მას დანიშნული ჰყავდეს და ჩუმად მასთან დაიარებოდეს.

II

რა ანუგეშებდა ნამორელს იმ გაკვირებაში, რომელშიაც ის იყო? რით უნდა შეეცხა ის, რაც სტუდენტობის დროს მას აკლდა? აი ამის პასუხი. ნამორელი გატაცებული იყო ერთის აზრით. ღიდის ხნითგან მას დაენიშნა თავისთვის ერთ-გვარი სარბიელი, რომელისთვისაც ამზადებდა თავის თავს და რომლის წარმოდგენაც მას ასაზრდოებდა. მე ვთქვი, რომ ის ექიმად ემზადებოდა. ღიახ, იმას უნდოდა მკურნალობის საფუძვლიანად შესწავლა და ამ ცოდნის საშუალებით ქვეყნის მოკეთედ გახდომა. მას მომავალის ცხოვრების და მოქმედების პლანი მუდამ თვალ-წინ უდგა, და არა ერთხელ და ორ-ჯერ შეუპყრია მისი გონება ამ ნაირს ოცნებას.

— აი, დაებრუნდები შინ. მიშოენი როგორმე რამდენსამე თუმანს, ვიყიდი საჭირო წამლებს; მათ ერთს ყუთში ჩავაწყობ, წამოვიკიდებ და სოფლითგან სოფელში ვივლი. აი, შევალ ერთს სოფელში. მინც კი შემხედება, ვეტყვი: მე ექიმი ვარ და ვინ არის აქ ავად-მყოფი რო ვუწამლო. სოფელში უეჭველად რამდენიმე ავად-მყოფი იქნება, დაუეული ყველას და ვუწამლებ. მერე მამასახლისსა ეთხოვ ხალხს შეატყობინოს, რომ მე მინდა დარიგება მივცე ავად-მყოფის მოვლის და კარგად-მყოფის გაფრთხილების შესახებ. ჰიგიენა რალა! ჰო, ჰიგიენა რაც არი, მარა!... აი, შეიკრიბა ხალხი; აი, მღაბიო ენით გაეაგებინე სუყველაფერი და სოფელში ერთი-ორად, ერთი სამად და მეტადაც იკლებს ავად-მყოფობა... რამდენიმე ხანი დავრჩები ამ სოფელში, უბრალო და ჩვეულებრივის ავად-მყოფობის (ყველა ავად-მყოფობა დასაწყისში უბრალოა!) წამლებს დაეუწერ, ვასწავლი მათ ხმარებას და წაველ სხვა სოფელში....

ბი, ნამორელის ფიქრი, იდეალი, სანატრელი. ის ამით სულდგმულებდა და ინუგეშებდა თავს. ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ეს კარგი და ადვილად მოსახერხებელი საქმე იყო. ბაასის დროს ამ თავის სანატრელს ისეთის დაჯერებით და სიმტკიცით იცავდა, რომ ვერა კრიტიკა ვერ მიუღებოდა მას.

— რა? ებასებოდა თავის თავს, ამბობენ, რომ ვერ გაძღვებ სოფელში, სიმშლით მოგვედები, მომწყინდება. არა, მე ისეთი კაცი არა ვარ. არც სოფელია ისეთი, რომ ლუკმა-პური არ მაჭამოს ჩემის სამსახურისთვის; რომ წამლებისა და ჩემთვის საქირო წიგნების საყიდლად ფულები არ მომცეს... განცხრომით ცხოვრება რად მინდა! არა, ტყუილია! ვინც მაგას ამბობს, მას არა სწამს-რა, კაცის სულის ძალას არ იცნობს... ან ეგრეც რომ იყვეს, რა?! გაჭირებაში ვიყვე რა! სიმშლით ხომ არ მოგვედები....

მას არ უყვარდა თავის აზრის წინააღმდეგ საბუთებზე გაჩერება. მას სწამდა, რომ სუყველაფერი კარგად წავიდოდა.

— სულ ხომ ავად-მყოფის მოვლაში არ ვიქნები, ოცნებობდა ის — თავისუფალი დროც დარჩება. ამ დროს მეცნიერულს გამოაკლევას მოვანდომებ. ავეწერ ყოველ-გვარს სწეულეზას, შევისწავლი სახალხო ექიმობას, კარაბაღინებს გავარკვევ კრიტიკულად... ხალხმა ბევრი წამლები იცის, რომლებიც უცნობნი არიან მეცნიერთათვის; იმეებს სულ შევისწავლი და იქნება ახალი რამ ვაცნობო მეცნიერებას.

სხვა ოცნება არა ჰქონია ნამორელს, ამით იყო გატაცებული და ამის ბრალიც იყო, რომ ის ისე დაყურსებული იყო ჩვეულებრივ.

III

ნამორელის ცხოვრება პარისში ძალიან ერთ-გვარი იყო. სწავლა, სწავლა და სწავლა. ბასართობებს ის არ მისდევდა და ვერც შეეძლო მიღენა. ხან-და-ხან თუ შევიდოდა რომელ-

სამე თავის ამხანაგთან, თორემ სხვა ღროს ან თავის სახლში, ან ბიბლიოთეკაში და ან აკადემიაში ატარებდა.

ასეთს ერთ-გვარობაში გაატარა ოთხი წელიწადი მათემ. მესხეთეც იმ ნაირადვე უნდოდა გაეტარებინა, მაგრამ ბედმა მოინდომა ამ ერთ-გვარობის შერყევა.

ბიორგობისთვე იყო. პარისს ბურუსი ზედ დასწოლოდა. ნამორელი აკადემიითგან მიდიოდა თავის სახლისკენ სადილის საჭმელად. იმ ქუჩაზე, სადაც ის იდგა, ბევრი გაზნეთების საყიდარი ღუქნები იყო, რომელთაგანაც მათეს ერთი ჰქონდა ამორჩეული და გაზნეთს სულ იქ ყიდულობდა. იმ დღეს, თავდალუნული რომ მიდიოდა, ნამორელი თავის ღუქანს ასცდა და სხვაში შევიდა. იქ შესული თუმცა გაოცდა, მაგრამ აღარ გამობრუნდა; მოითხოვა გაზნეთი. ღახლში მჯდომმა ქალმა მიაწოდა მოთხოვნილი გაზნეთი და თან უთხრა:

— უჰ, რა ბურუსია! კაცი ვერაფერს არჩევს!

ნამორელმა თითქო მაშინ დაინახა, რომ ღახლში მჯდარი ქალი იყო. უნებლიედ შეაჩერდა სახეზე და დაინახა ქალის მოღიმარი პირის-სახე. იმ ღროს, როცა ნამორელი ზამთრის სუსხს გრძნობდა, როცა არე-მარე-სიგრილის სიოს უბერავდა, ამ ქალის დანახვაზე მას დასთბა. სითბომ კარგს გუნებაზე დააყენა და ქალის სიტყვებს გრძელი პასუხი მისცა:

— ღიახ, ამ ბურუსმა თვალები ისე ამიხვია, რომ იმ ღუქანს ავცდი, საცა ჩვეულებრივ ვყიდულობ და აქ შემოველ.

ქალმა გაისიცილ-ლიმილა.

— მე კიდევ არაფერი, ჩვენ იგივე გაზნეთები გვაქვს, თქვა მან. მათემ დაუწყო ყურება ქალის ბაგეებს, რომლებიც საშინელოს სიტკბოთი იღიმებოდნენ. მას დასცხა და, თუმცა ფული მიცემული ჰქონდა, თავის შეუგნებლივ გაჩერდა ღუქანში.

— თქვენ უცხოელი უნდა ბქანდებოდეთ, კითხვით უთხრა ქალმა.

— ღიახ, ნამდვილს ამბობთ, ჩემი ლაპარაკი ამტკიცებს ამას, მიუგო მათემ.

ქელავ მუდამ აჩქარებული ნამორელი ეხლა აღარა ჩქა-

რობდა დუქნიდან გამოსვლას. ქალმა მიიპყრო მის ყურადღება. ლაპარაკში გაერთო და ქალის თხოვნით კიდევ დაჯდა სკამზე. ქალმა რომ მისი ვინაობა გაიგო თავისიც შეატყობინა ამ ნაირად:

— მე გახლავარ მწერალი ქალი. ჩემს ნაწერს შეხედებით ხშირად *Figaro*-ში, ვწერ სხვა გაზეთებშიაც. მხლა ცოტად სამუშაო გამომეღია და იძულებული ვიყავ ამ დუქნის პატრონთან დამდგარიყავ; ის ეხლა გარედ არი და მე დახლში მის მაგიერ დავჯეგ.

ნამორელი და ქალი ლაპარაკში იყვნენ, როდესაც მუშტრები შემოვიდნენ. მაშინ ადგა მათე და გამოესალმა.

— *Bonjour, Madame!*

— *Bonjour, Monsieur! Au revoir!*

ნამორელმა სირბილით გასწია შინისკენ.

— *Madame* კი ვუთხარ და ნეტა ვიცოდე ვინ არის; იქნება *mademoiselle*-იც იყვეს. ეს დიდად საგულბეგლია, მაგრამ რა უქირს, *politesse*-ია *madame*-ის თქმა, სჯიდა ამ ნაირად მათე.

IV

ნამორელი რაღაც აღტაცებული იყო თავის ოთახში რომ შევიდა. აკადემიითგან თითქო შშიერი წამოვიდა, მაგრამ ახლა სულ აღარ უნდოდა პურის ქამა. ბული თითქო დაუმძიმდა, მძლავრად ფეთქავდა და სისხლს ნაკადულსავეით ისროდა. ის გადაწვა გულ-აღმა საწოლზე და გაშტერდა. ამ დროს თვალწინ მოეჩვენა იმ ქალის მოციმიციმე სახე. ბაჩერდა მათე. ბული უფრო უტემდა. მრთი ღონივრად გაიხშორა და, თითქოს გამოფხიზლებული, წამოვარდა. შუბლზე ხელი მოისევა და გაექანა სპირტის ლამპის ასანთებად, რომ ცხენის ბიეტეკი მოეწვა; სპირტის ლამპის ალების მაგიერ, იმან ხელი მოავლო სანათს ლამპას და დადგა ტაბლაზე. მერე წუმწუმისკენ გაექანა და როცა გაჰკრა მოსაკიდებლად, მაშინ შეამჩნია, რომ შემცდარიყო.

— დასწყევლოს ღმერთმა, რა დამემართა?! შეიტია თავისთავად.

როგორც იყო ძალა დაატანა თავის-თავს, მოიკრიბა ნერვების სიმშვიდე და გაიკეთა სადილი. ბიეტეკი კარგი გამოდგა, მაგრამ პირველივე ლუკმა თითქო უგემური ეჩვენა, მეორე და მესამე ძალით შეჭამა და მეოთხის დაღეჟა ძალიან გაუჭირდა. ნახევარ ბიეტეკზე მეტს თავი დაანება. მაღა სრულებით დაჰკარგოდა და როცა ხორცს სჭრიდა, ხელები უკანკალებდა.

— დასწყევლოს ღმერთმა, რა დამემართა?! ამბობდა თავისთავად.

სადილს შემდეგ მათე ტაბლას მიუჯდა გაზეთის საკითხავედ, მაგრამ რომ აღარც კითხვის მაღა ჰქონდა! ბადაიკითხა მეთაური წერილი, გადავიდა ოფიციალს ცნობებზე და უცებ დაეკითხა თავის თავს: — რა იყო მეთაურს წერილში, ან ვისი იყო? როცა წერილის სათაური მეორედ წაიკითხა, იფიქრა უნდა საინტერესო რამ იყვესო და მეორედ მიჰყვა კითხვას. დიდს ძალას ატანდა თავის-თავს, რომ გულის-ყური გაედევნებინა, მაგრამ წაკითხულის ფრაზის შინაარსი აღარ ახსოვდა. — დასწყევლოს ღმერთმა, რა დამემართა?! ამბობდა გაკვირვებით მათე. ნამორეღს აუტყდა ზმორება და კანკალი. ბაზეთს თავი დაანება და ოთახში ბოლოთას ცემა დაუწყო. წინ და უკან სიარულით რომ დაიღალა, აიღო ქუდი და გამოვიდა გარედ. ბიბლიოთეკაში წასვლა გადასწყვიტა მან.

ზზად ისევ იმ ღუქნის წინ უნდა აველო, სადაც ქალი ნახა.

— ნეტა კი რამ საქმე მქონდეს, რომ შევიდე კიდეც ამ ღუქანში, — თქვა მათემ — მაგრამ რას იტყვის! ეხლო არ იყო აქო, თუ უნდა რამე, რატომ მაშინ არ იყიდაო, ასე იტყვის ის. ჰჰ, შევიდე თუ არ შევიდე? ეჰ, არა, ხვალ შევალ, გაზეთისთვის. — ამ სჯაში იყო, რომ იმას მოაგონდა ერთი რამ. როცა ღუქნითგან გამოდიოდა ქალმა *bonjour, monsieur* რო თქვა, დაატანა *au revoir*-ო.

— არა, *bonjour* თქვა, *au revoir* რაღა საქირო იყო! ნუ თუ მას უნდა ჩემი ნახვა? იქნება *politesse*-ით მითხრა! მაშ რა-

ტომ სხვები არ მეუბნებიან? ნამორელს ფიქრი გაუშტერდა, მერე თითქო ახალს რასმე მივაწყდიო, იფიქრა: იქნება მოვეწონე... ამ ფიქრის გონებაში გავლება და მის გაწითლება ერთი იყო.

— რა დასაჯერებელია; მე ვინ მომიწონებს? უმტკიცებდა ის თავის თავს — ამდენი ხანია ერთს ქალს არ მოვეწონებოვარ. მჰ, ფრანგის ქალები სხვა ეშმაკები არიან!

ბიბლიოთეკაში კითხვის დროს ისივე დაემართა, რაც სახლში, ამიტომ იქითგან მალე დაბრუნდა და ერთს თავის ამხანაგთან წავიდა გასართობად, მაგრამ ისიც სახლში არ დახვდაკულ-მოწყვეტილი გაემართა შინისკენ. მისელის უმალ დასაძინებლად დაწვა.

— რა სიმპათიანია, რა კარგის გულისა უნდა იყვეს! ნეტა კარგად გამაცნო, გამაგებინა მის ვითარება... რა კარგა მომეპყრა... ის *au revoir* რო მითხრა, ნეტა რად მითხრა!...

მოინდომა ქალის სახის დაეიწყება, სცადა სხვა საგანზე იფიქრნა, მაგრამ ვერაფერმა შეიპყრო მის გონება. ისევ ღიმილი, ის ღიმილი, რომელიც ვითომ პირველად ენახა.

ბოლოს როგორც იყო ჩაიძინა.

V

მეორე დღეს აკადემიითგან დაბრუნებული ნამორელი გახეთის საყიდლად გუშინდელს ღუქანში შევიდა. დახლში იჯდა ერთი მოხუცებული დედაკაცი, კუნჭულში კი მოშორებით კითხულობდა გუშინდელი ქალი. მათემ ეს ვერ შენიშნა და გულ-მოწყვეტილმა ბებერს დედაკაცს მოსთხოვა გაზეთი. მათე გამოსვლას აპირებდა, რომ უკანითგან მოესმა ნაცნობი და საამუშაო ხმა:

— *Monsieur*, როგორ ბძანდებით გუშინდელს აქედ?

ნამორელს ამ ხმის გაგონებაზე რალაც სიცხის ოფლმა გადაჰკრა, სახე გაუწითლდა და თვალებმა ელვა დაუწყეს. მობ-

რუნდა ქალისკენ და იმ შიშით რომ მის განხარება არ შეეცყოთ, შეერთა, დაიბნა და სთქვა:

— უკაცრავად, ვერ შეგნიშნეთ!

— პრაფერი, არაფერი დაბძანდით პატარა ხანს, — უთხრა ქალმა. ნამორელი ჩამოჯდა და ველარ ახერხებდა ლაპარაკს.

— აი, დუქანი *madame Etienne* ისა არის, უჩვენებდა თვალით დახლში მუდარს დედაკაცზე; თქვენ მულამ ამის მუშტარი იყავით.

— დიახ, სიამოვნებით! სულ აქ ვიყიდი ხოლმე. თქვა ეს და დააპირა გასვლა ნამორელმა.

— რას მიეშურებით, ბატონო? მე თქვენთან ლაპარაკი მინდა. ეს რომ თქვა ქალმა, დედაკაცი წამოდგა და გავიდა სხვა ოთახში.

— მე პირში მთქმელი ქალი ვარ; რაც გულზე მაქვს არ დავმალავ. მე თქვენი სახე ძალიან მომწონს.

ნამორელი, თავად არეული, უფრო აირია; ქარხალივით გაწითლდა და წამოიღულღულა:

— რას მიბძანებთ, ქალბატონო? მე სრულიადაც მოსაწონი სახე არა მაქვს.

— ბარწმუნებთ, რომ მე თქვენ მომწონხართ. მე რა ძალა მადგია, რომ ტყუილი ვითხრათ,

ძალმა შეატყო, რომ ნამორელს აკანკალებდა, სახე სულ უთამაშებდა.

— თქვენ როგორღა ბძანდებით? ქალს პირდაპირ არ ეტყვით ხოლმე იმას, რასაც ჰფიქრობთ?

— რასაკვირველია, უნდა კაცმა პირდაპირ უთხრას, ნამორელმა მიუგო.

— მაშ ერთის ხასიათისანი გყოფილვართ; სასიამოვნოა... სად ცხოვრობთ თქვენა?

ამ კითხვაზე ნამორელმა თავის აღრესი უთხრა.

შემოსულმა მუშტარმა შეაწყვეტინა მათ ლაპარაკი. ნამორელიც გამოეთხოვა და წავიდა შინ.

ნამორელი რო სახლში შეედა, სადილის გაკეთებას შეუდგა. ის ეხლა უფრო დაბნეული იყო ვიდრე გუშინ. ჩასაც კი ხელს მოაეღებდა, სულ ძირს უვარდებოდა. სპირტის მაგიერ სამზარეულო ლამპაში ნაეთი ჩაასხა. წუმწუმს ჩომ ანთებდა, თავის მაგიერ ბოლოს უფხაკუნებდა. სპირტის ქურჭელს ხელი წამოჰკრა და დააქცია. ბოლოს ისე აუთრთოლდა ხელები, რომ თავი დაანება და მიწვა ლოგინზე.

— რა დამემართა?! ამბობდა ჩუმად მათე.

რამდენიმე ხანი იყო წამოწოლილი, ნერვები ცოტა არ იყო დაუმშვიდდენ და გონზე მოვიდა.

— ეს სწორედ იმ ქალის ბრალია, ის შემეყვარდა უთუოდ; ოჰ, ა ყოფილა სიყვარული!

ამ ფიქრზე მათე ჩიტივით წამოვარდა ლოგინითგან. ჰაერისგან უმსუბუქესად გრძნობდა თავის თავს. ბედნიერებამ გაჩემოიკო მის არსება.

ნამორელმა გაიხსენა ყველაფერი, რაც კი ქალს ეთქვა იმ თავითგანვე; მის ღიმილი თვალ-წინ დაეხატა და ყველაფრითგან ის დასკვნა გამოიტანა, რომ ქალსაც ჰყვარებია ისა.

მთახში რომ გული მეცადინეობაზე ვერ მისდიოდა, ამხანაგთან წასვლა მოინდომა. მართის მაგიერ იმას მთელი ჯგუფი დახვდა ამხანაგის ოთახში. მათეს პირის სახე უცინოდა: თვალეები არა ჩვეულებრივ უბჭყვრიალებდენ და მიხრა-მოხრაც რაღაც სხვა-ნაირი ჰქონდა. ეს გარემოება ამხანაგებს ეუცხოვათ და ყველამ მისძახა:

— ოჰ, მათე, რა ამბავია, რა დაგმართვია; ფულები ხომ არ მიგიღია?

მათემ ღიმილით და მორცხვობით მიუგო, რომ მას არც ფულები მიუღია და არც არაფერი დამართვია.

— მაშ მაგის მიზეზი მე ვიცი.—თქვა ერთმა—ეგ მგუსტინი ან ყოფილა და იქითგან მოდის.

ამ სიტყვებზე მათე მოიღუშა, თითქო ეწყინაო, და თიქმის ჯაერობის ხმით უპასუხა:

— მგუსტინი კი არა და ჰოზეფინი არ გინდა!

მართლაცა და მათეს ძალიან ეწყინა, რომ იმ დროს, როცა მას აღიმებდა იმ ქალის სახის წამოდგენა, მგუსტინი გაუსახელეს, თითქოს იმ აზრით, რომ ისე აბუჩად აფეგლოთ ის ქალიც, როგორც მგუსტინი იყო აფდეული. თუმცა ეცადა ეს წყენა დაემალა, მაგრამ ვერ მოახერხა, ამხანაგებმა გაუგეს. ამან უფრო გააჯაერა მათე და სულ ცუდს გუნებაზე დააყენა.

ამხანაგები რომ ამ ნაირს ოხუნჯობით არ შეხვედრიყენენ მათეს, ის უთუოდ უამბობდა დაწერილებით თავის შემთხვევას. უხლა კი გადაწყვიტა აღარ ეამბნო. იმის ფიქრით, მგუსტინის ხსენებით შეურაცხ-ჰყვეს ის წმინდათა წმინდა, რომელიც მარტო თაყვან-საცემელი იყო იმისგან. ამხანაგებმა რა იცოდენ, თუ რა წმინდათა წმინდა ეპოენა მათეს და ამიტომაც თავიანთ ხუმრობას არ იშლიდენ. მათემ ვერ გასძლო და სრულებით გუნება-მოშლილი გამოეთხოვა მათ.

დ. კარიჭაშვილი.

(დასასრული იქნება.)

იოსებ დავითაშვილის ბარდაცვალების გამო.

უსწავლობამ ეს დაგემართა
 დროზედ რომ ვერ დაგაფასეთ,
 და ეხლა კი რალას გარგებს
 თუმცა გლოვა ვაათასეთ.

ლოკმა-პურის საშოენელად
 ხან სად ვლიდი და ხან სადა,
 მაგრამ შრომამ უანგარომ
 სათაყვანოდ აწ გაგხადა.

უკადრისი თავ-მოყვარე
 არ იყავი არასოდეს,

ძნელათ ნახავ ჩვენში ვინმეს
შენგნით წყენა რამ ახსოვდეს.

ზედ მიწვევით, შენ იცოდი
გლებთ საამო ლექსის წერა,
მაშერალ მუშაკს ამხნეებდა
შენს ტკბილ ჩანგზე სიმთა ჟღერა.

ს. თ.

არა ჩვეულებრივი შუბრისძიება

(მოგზაურის წერილებიდან)

(თარგმანი).

ბევრს საკვირველს და თითქმის არა დასაჯერებელს ნახავს მოგზაური, განსაკუთრებით ისეთი, რომელსაც მოხდომია შორს ქვეყნებში ყოფნა; მაგრამ ის, რაც მე ვნახე ინდოეთის ერთ-კუთხეში, სწორედ რომ მეტად გასაკვირვებელი იყო. იქიდან მე ნამდვილად გავიგე სადამღის მივიდა კაცი ცრუ-მორწმუნეობით აღვსილი და მარტო ინსტიკტით მკვლევეი გზისა ცხოვრებაში.

ჩემი პუბნახში ყოფნის დროს მაიორი ტრომლისონი იყო დანიშნული მსაჯულად იმ მაზრისა, სადაც იდგა «პოლკი». მსაჯულის თანამდებობა, გარეშე ჯარის სამსახურისა, მიანიჭეს მას მისთვის, რომ ის იყო ცნობილი კაცი. იმის მოვალეობას, სხვათა შორის, შეადგენდა ხარკის მოკრეფა იქაური მცხოვრებლებისაგან. იმის მაზრას ეკუთვნოდა ერთი პატარა დაბა, რომელიც იყო პუბნახიდან სულ რამდენიმე მილზე. რადგანაც რომ ამ დაბის მცხოვრებლებზე დარჩენილიყო რამდენიმე წლის ხარჯი, ამისათვის მაიორს მოუყვიდა ფიცხელი ბრძანება, რომ აეღო

და გაეგზავნა დანიშნულებისამებრ ხვედრი ფული. რასაკვირველია ეს ადვილი ასასრულებელი არ იყო, მაგრამ მაიორი არ შეეშინდა დაბრკოლებას და თვითონ გასწია ხარკის მოსაკრეფად. იმას უნდოდა გაეგო ნამდვილად შეეძლო თუ არა ხალხს ხვედრი ფულის გადახდა.

სხვათა შორის ამ დაბაში სცხოვრებდა ერთი ვინმე ჯისერიე იანდი, რომელიც რამდენიმე ხანის შემდეგ აცხადებდა უარს ხარკის გადახდაზე, რადგანაც, როგორც ამბობდა, ის ძალიან ღარიბი იყო.

როცა რომ ჯისერიესთან მივიდა მაიორი და დაუწყო თხოვნა ფულისა, ჯისერიე, ჩვეულებისამებრ, ჩაუვარდა ფეხებში და დაუწყო ვედრება:—მამა მკავეს მოხუცი, ავთ-მყოფი, რომელიც შიმშილით ლამის მომიკვდეს, მკავე აგრეთვე ძუძუმწოვარა ბავშვი, რომელსაც დედა ძლივს ასაზრდოებს, მასთანვე არა მაქვს გროში ფული და ამისათვის გთხოვთ, რომ მოილოთ მოწყალბა და მავატოთ.

ვინმე გამოუცდელი რომ ყოფილიყო, რასაკვირველია, რომ გაეგზავნა მახეში, მაგრამ ტროლიმსონი, რომელსაც კარგად ჰქონდა ინდიელების ჩვეულება შესწავლული ვერ შეაჯინა სინდმა. მაიორმა გამოუცხადა ინდიელს, რომ თუ ის ახლავე არ მოუტანს მას ფულებს ის იქნება დატუსაღებული. შეტყო რა ინდოელმა, რომ აღარაფერი გაუვიდოდა მაიორთან, გასწია, მოიტანა დამალული ქისა და გაისტუმრა მაიორი. ინდოელის სახე იყო ამღვრეული და ეტყობოდა, რომ ძალას ატანდა თავს. შემდეგ თავისებური პირ-მოთწევით და თავიანის-ცემით გააცილა მაიორი სოფლიდგან. მაგრამ გააცილა თუ არა ის, მაშინვე იწყო წყვეა-კრულვა და ფიცი, რომ მას უეჭველად გარდაუხდის ინგლისელს თავის შეურაცხებას.

შემდეგ წელში მაიორმა დანიშნა რაღაც საქმისთვის საზოგადო ყრილობა, რომელზედაც შეკრებილიყვნენ მრავალნი ინდოელნი მახრის სხვა-და-სხვა კუთხიდგან. მაიორის გარშემო ისხდნენ მისი მდივანი, მწერალი და რამდენიმე ევროპიელნი, რომელთა შორის ვიყავი მეცა. იქვე საიდგანლაც გამოჩნდა ჯი-

სერიე სინდი, რომელსაც ხელში ეჭირა ბავშვი. მაიორს სრულიად დაეწიებოდა სცენა ინდოელთან და პირველად ვერც იცნო იგი, მაგრამ სინდი კი ყოჩაღად იყო. ის მიუახლოვდა მაიორს და ჰკითხა:

— მცნობ კიდევ? დიდს ინგლისელს ახსოვს კიდევ საცოდავი ინდოელი, რომელსაც შარშან გადაახდევინეს რამდენიმე წლის ხარკი ერთად, თუ არა?

— აჰა, ახლა მომაგონდა; მახსოვს, მახსოვს, როგორ არა!

— ის საწყალი ინდოელი—მე ვარ. მე ვარ ის, ვისაც წაართვი შენ უკანასკნელი გროში მაშინ, როცა ბავშვი, რომელიც ახლა ხელში მიჭირავს და მოხუცი მამა შიმშილით მებოცებოდნენ. მე ვარ ის, რომელმაც ალუთქევი მამი-ჩემის ღმერთებს, რომ ვიძიოა შური მაზე, ვინც გააფუჭა ჩემი კეთილმდგომარეობა და ვინც დაარღვია ჩემი ბედნიერება. და აჰა, ამ გვარად ვასრულებ მე ჩემს ალტკმას.

ითქვა თუ არა ეს სიტყვები იმან, დაიწია უკან, წაავლო ფეხში ბავშვს ხელი და დაახეთქა კიბის ქვებზე. შემდეგ განაგრძო:

— ამ გვარად ვიძიე მე შური! ეს ბავშვი, რომელიც ეს არის მოკვალი მე, არის ერთად-ერთი ჩემი შვილი, ერთად-ერთი საგანი ჩემის სიყვარულისა, მაგრამ ის შეესწირე მე მსხვერპლად შურის-ძიების ღმერთსა. მე ესთხოვე მას, რომ ამ ბავშვის ძვირფასი სისხლი აიღოს შენგან, გულ-ქვეაო ინგლისელო! შენა ხარ დანაშაული მაგის სიკვდილში. ამ წამს ამ ბავშვის სული იმყოფება «სიკვდილის ღელეში» და იწვევს შურის ძიებას შენს თავზე. დამერწმუნე რომა ამ ბავშვზე უძვირფასესი რომ მყოლოდა ვინმე, იმასაც გავიმეტებდი და შეესწირავდი ღმერთებს თუ რომ უფრო გავარისხებდი იმათ შენზე. ახლა მე დამშვიდებული ვარ; მე ვიძიე შური და ჩემთვის ესეც საკმაო არის.

როგორც მაიორი, ეგრეთვე სხვა ევროპელები გაშტერებულინი ვიყავით და არ ვიცოდით თუ რა გვეთქვა. რაც შეეხება

ინდოელებს, ისენი იყვნენ დამშვიდებით და არც კი გაჰკვირვებიათ თავიანთი მემამულეს მოქმედება.

ჯისერიე იღვა და ფიქრადაც არ მოსვლია გაქცევა და თავის შევლა. სინდი მაშინვე დაატუსაღეს. რამდენიმე დღის შემდეგ იმას წაუკითხეს განჩინება, მაგრამ ის არც კი აქცევდა იმას ყურადღებას. სინანულის მაგიერ ის ამაყობდა კიდევ შეილის მოკვლით და ამბობდა, რომ თუ აქედგან (ციხიდან) განთავისუფლდი, ყოველივე ღონისძიებას ვიხმარ იმისთვის, რომ უფრო განვარისსო ღმერთები ინგლისელებზე. მაგრამ მსაჯულებმა არ მიუშვეს იგი სხვა ბოროტების ჩადენამდე და გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა. ბავიდა ამის შემდეგ რამდენიმე დღე. მივიდა მასთან ერთი მოხუცი ინდოელი და მოსთხოვა მას სასჯელის აღსრულებისათვის დაწესებული ფული. როცა რომ ჩააბარეს იმას ხვედრი ფული, იმან გამოუცხადა დიდი მადლობა მაიორს და დააპირა გასვლა, მაგრამ ტროლიმსონმა, რალაც ცნობის-მოყვარეობის გამო შეაჩერა ის და ჰკითხა თუ რა ჰქვიან.

წარმოიდგინეთ მაიორის განცვიფრება, როცა გაიგო რომ ჯალათსაც ის სახელი ერქვა, რაც დასჯილს.

— ნათესავი ხომ არა ხარ შენ დასჯილისა? ჰკითხა მაიორმა.

— მე იმის მამა ვახლავარ. მიუგო ცივად მოხუცმა.

— და შენ გაჰბედე შენივე შეილის დაღრჩობა! შეჰყვირა ტროლიმსონმა.

— რა მექნა საგიბო! ჩემს შეილს ხომ მინც არ ასცდებოდა საღრჩობელა! აგეთი ყოფილა ჩენი ბედი. და თუ მე არ მესარგებლა ამათი სხვა ისარგებლებდა, და რადგანაც ჩვენ ძალიან ღარიბები ვართ, ამისათვის მე არ მინდოდა, რომ ჩენი უბედურებით ესარგებლნა სხვას.

— და შენ შეასრულე ეს ისე, რომ არ შეგაწუხა სინილისმა, არა იგრძნო-რა შენმა გულმა?

— საგიბო! აგეთი ყოფილა ჩემი შეილის ბედის-წერა! იმან ხომ ვადიხადა თავის მოვალეობა, მაშ რისთვისლა უნდა შეაწუხოს იმის მამა სინილისმა?

სიტყვა თუ არა ეს მოხუცმა, დაუკრა მძიმეთ თავი მაიორს
 და გავიდა კმაყოფილის სანით.

სახალხო ლექსები

(გაგონილი ჯაგანეთში, სოფელ ხიზაბაგრაში იაკობ ლაზარა-შვილისაგან).

შენ, ერეკლე, ოქმიანო,
 ცხენ მაღალ უნაგრიანო,
 შენი ნახოცი ლეკები
 ასპინძის ბოლოს ჰყრიანო!

ყვაფი, ყორანი ლეშსა სკამს,
 კაჭკაქნი თვალებს სთხრიანო;
 ვაი მათ დედის ძელიებსა,
 რომ გონჯ ალაგას ჰყრიანო!

ერეკლემ შემოუტია
 ამ თავის ბორდა ხმალსაო:
 — რას შერები, ჩემო ფრანგულო,
 რატომ არ გამცემ ხმასაო?

— გულ-უშიშრათაც შემაჰკარ,
 ძალი ატანე კლავსაო,
 დაჯექ და სეირს მიყურე,
 სად გაეგორებ თავსაო!...

ერეკლემ ცხენს შეუტია,
 ხეზე გახადა თქაფანი,
 ხევ-ლელე ლეშით ამსო,
 ცხენს შეუღება ფაფარი.

შტატს ამკირებენ

«ჩ ი ნ მ მ ე ნ ი კ ი . »

(დასასრული).

ნაჩალნიკის სიტყვაში რალაც ნაღვლიანობა იხატებოდა. მას, ჯერ პენსია არ დაემსახურებინა და ამიტომ თვით შეშინებული განლდათ, ვაი თუ შტატს გარედ დაერჩეო. მინიკოვი კი სულ სხვაფრივ ფიქრობდა, მან უფროსის სიტყვებისაგან ის დასკვნა გამოიყენა, რომ თვითონ იგი დარჩება შტატისა გარედ. მინიკოვმა პასუხი არ გასცა უფროსსა, მხოლოდ ერთი ღრმად ამოიოხრა. ეს ნაჩალნიკს ძლიერ მოეწონა.

— ღიად, ძმობილო, შტატს შეამკირებენ, ვგონებ, ძლიერ საჩქაროდ.

მინიკოვი შევიდა თავის კანცელარიაში ძლიერ ცუდ გუნებაზე.

— ოჰ, შტატს შეამკირებენ, ღიად, შტატს შეამკირებენ, გაუგებლად ჩაილაპარაკა მან.

— როდის-ღა? მის დაითხოვენ სამსახურიდგან, ეკითხებოდნენ მას.

— არ ვიცი, მაგრამ, რომ შტატს შეამკირებენ, ამაზედ თვით უფროსმა ილაპარაკა. ამ დროს მთელი კანცელარიის ჩინოვნიკობა ფეხზე წამოდგა. რალა გვეშველება თუ შტატი შეამკირეს... თვით უფროსმა ბრძანა ამაზე?... ღა სხვა ამ გვარი მსჯელობა მოისმოდა...

*
*
*

მუშაობა შეწყდა. პეკლანი რალაზედაც დაფიქრდნენ. მაგრამ რადგან ისინი მსჯელობას მიჩვეულნი არ იყვნენ, ამ გვარმა მდგომარეობამაც სისწრაფით განელო თვისი გზა. ძალმების ჩხარა-ჩხური ისევე გაისმა. ხანდისხან კი გაისმოდა ხოლმე ოხერა რომელიმე შეშინებული ჩინოვნიკისა... მაგრამ რაც უნ-

და გადაეჩვიოს აღამიანი ფიქრს, მაინც შესაძლოა ამ გვარმა საზარელმა შემთხვევამ, — როგორიც შტატის შემცირებაა, — დაფიქროს ეგეთი კაცი, როგორიც მინიკოვი გახლავთ. მაგრამ ხომ ფიქრი თავის-თავადაც მტანჯველია. ამიტომ მინიკოვი ცდილობს მოიგონოს იმისთანა საშუალება, რომ როგორმე ფიქრი დაივიწყოს... მრთხელ, სადილის შემდეგ, მინიკოვს ძილი მოუწდა, მაგრამ დაძინება აღარ შეეძლო.

— ამხანაგთან წავალ! სთქვა მინიკოვმა და კიდევ ტანისამოსის ჩაცმას შეუდგა. სოლმა დაინახა თუ არა, რომ მისი ქმარი სადღაც წასვლას აპირობს, — ჰკითხა:

— სად მიბრძანდებით?

— უნდა წავიდე, მიუგო მინიკოვმა.

— სასიმთვრალოდ მიბრძანდებით? ბანმეორებით ეკითხება მეუღლე მინიკოვსა, მაგრამ უკანასკნელი პასუხს არ აძლევს და საჩქაროდ მიდის თავის ამხანაგებთან. მრთს ამხანაგთაგანისას უკვე შეკრებილიყვნენ ყველა თანამოსამსახურენი მინიკოვისა. სუყველას პირისახეზედ რაღაც დაღრეჯილობა და სევდიანობა ეტყობოდა.

* * *

მთელი ამხანაგობა სულ სხვა საგანზე დაიწყებს მუსაიფს, მაგრამ ისევე ჩქარა იმავე თემას მიუბრუნდებიან, რომელიც სუყველას ძვალ-რბილში გაჯდომია ე. ი. შტატის შემცირებას. დიდ ხანს ათას-ნაირად აწონ-დაწონეს, დიდს ხანს გასჩხრიკეს ეს კითხვა, კითხვა, რომელიც მათ ასე გულს უშხამავს; ბოლოს ერთი ჩინოვნიკი წამოიძახებს:

— ბატონო, რაზედ ვიჯავროთ?... ღველიოთ რაღა?... სულ ერთია, დავიღუპებით! ეს აზრი ყველას მოეწონა და ამიტომ სუყველანი დასთანხმდებიან ამაზედ... ამის შემდეგ პრობკების და ბოთლების ჯახა-ჯუხი გაისმის. სუყველას ცოტ-ცოტათი პირის-სახეზედ ღიმილი ეტყობა. აგერ ხარხარ-სიცილიც გაისმა... მაგრამ სიცილი რაღაც არ მოსდით... «მე რა მიშავს», ამზობს მინიკოვი, მე არ მეშინიან!... სამსახურიდგან დამითხოვენ!... ბანა შე არ შემიძლიან სხვა სამსახური ვიშოვო?... ხა,



ხა, ხა?... დილ, მე, მე, მე შემძლიან... ამ დროს ერთს კი-
დევ გადახუხამს და ისევ ამ გვარ «რეჩს» მოჰყვება.

* * *

მინიკოვი თავის სახლში გვიან მობრძანდა. სოლი მივარ-
და ქმარსა და უთხრა: «აბა, მითხარით სად ბრძანდებო-ღი შე
ასეთო-ისეთო?...»

— მწუხარებით, ღმერთს გეფიცები, მწუხარებით! მიუგებს
ქმარი. სოლი გინებას დაუწყებს.

დაჩუმდი ჩემო სულიკო, დაჩუმდი,—სულ ერთიან ვილუ-
პებით!... შტატს ამცირებენ!.. ამბობს შეზარხოშებული მინი-
კოვი, როცა საბანში გახვევას აპირობს...

დილით მინიკოვი გამოიღვიძებს და შეჰნიშნავს, რომ
მას თავი სტკივა, ხელები უკანკალებს და სხვა... იმ შიშ-
მა, რომელიც გუშინ მინიკოვმა სიმთვრალით დაივიწყა,
ისევ გარემოიცვა ის ახალის ძალითა. იგი გულს ინეთქს,
წიზლი მოსდის თავის ცოლზედ, ბავშვებზე და სუყველა-
ფერზე, რაც მას გარემო არტყია. ასტყდა ერთი ალიაქო-
თი, ბავშვები ღრიალებენ, ცოლი სტირის. მინიკოვი კი კან-
ცელარიაში მირბის. სამსახურის გათავების შემდეგ იგივე ზღე-
ბა რაც გუშინ და გუშინ წინ მოჰხდა... ამ გვარად მიდიოდნენ
დღენი... არ ვიცი სადამდე მიადწევდა მინიკოვი და სხვანი მას-
თან მოსამსახურენი ამ გვარ მდგომარეობაში მყოფნი, რომ ყვე-
ლაფერი ერთბაშად არ გადაწყვეტილიყო.

* * *

მართს დღეს ასტყდა ერთი ჩოჩქოლი. ძალაღლი მოვიდა;
დღეს უთუოდ გამოაცხადებენ. სუყველანი დაფაცურდნენ, სუ-
ყველანი მასლაათს შეუდგნენ. არაყის არ უნდოდა საქმისათვის
ხელი მოეკიდებია. შუროსმა თავის მოსვლით, შიშის ზარი და-
სცა თვისს ხელ-ქვეშე მყოფ ჩინოენიკებს. ჩინოენიკები ფენ-
ზედ წამოდგნენ, როცა ნაჩალნიკი მობრძანდა და რამდენისამე
წამის განმავლობაში ადამიანური სახე მიიღეს. მინიკოვი,
როგორც მისი ამხანაგები, ფიქრობდა, რომ დღევანდელი დღე
უკანასკნელი დღეა მისი სამსახურისა. მაგრამ იგი სხვებსავეთ

არ კანკალებდა, სხვებსავეთ არ ეშინოდა მას. შიშის მაგიერ მის გამხდარ, ფერ-მიხდილ პირის-სახეზედ წაიკითხავდით სიბრა-
 ლულს გულ-მტკიენეულებსას.

— ოცი წელი ვმსახურებ, თქვობდა იგი, ჩემი ჯან-მრთე-
 ლობა სრულიად დავკარგე და ვინ იცის სამსახურიდგან და-
 მითხოვონ...

* * *

ამის შემდეგ შემობრძანდა უფროსი, ნაჩაღნიკი და გამო-
 უცხადა ჩინოენიკებს: ორი ჩინოენიკი, რომლებსაც პენსია და-
 უმსახურებიათ, დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდგან, ერთი
 გადაყვანილ იქნება მეორე ადგილზე... ამით თავდება ყველა-
 ფერი...

მინიკოვი რაც უფრო და უფრო დარწმუნდა, რომ მას
 ხელს არ ახლებენ, მით უფრო მის სახის გამომეტყველება
 გამოიცვალა, სიბრალოული განქრა და მის მაგიერ უწინ-
 დებური მორჩილობა ინატებოდა. მართის სიტყვით ყველა-
 ფერმა უწინდელი სახე მიღო. ძალმებმა ახალის ძალით დაიწყეს
 ჩხარი-ჩხური, გაისმა ისევ ჩვეულებრივი: «СЛУШАЮ-СЬ» და
 «ТАКЪ ТОЧНО-СЬ» ძახილი. მინიკოვი პირ-მოცინარე და განარე-
 ბული სახლში გაიქცა. სოლი მრისხანე და მოღრუბლული
 შეხვდა მას... მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისიც გამხიარულდა.

— ზაიხარე, ჩემო სულიკო, სიხარულით წამოიძახა მინი-
 კოვმა... დამტოვეს ისევ სამსახურში... ამის შემდეგ ალტქმას
 ესდებ სიმთვრალეს თავი დავანებო!

მათი ცხოვრება ისევ ძველ კახრაკში ჩავარდა, ისევ ძვე-
 ლებურად დაიწყო მსვლელობა.

ნ ა რ ე ვ ი

გასართობი

თუატრში რა მოახდინა ვინთაგვამ

(ჩვენი აქტიორების საუურადღებოდ.)

ვირჯინიის შტატში, რიჩმონდში, ერთი ოპერის წარმოდგე-
 ნის დროს თუატრში, სწორედ მაშინ, როცა „ტენორი“ და „პრი-

მადონას: უცხადებდნენ ერთმანერთს საყვარელს, სცენაზე გამოვარდა საიდგანდაც ერთი დიდი ვიწთავა და ეცა შირ-და-შირ მომღერალ არტისტებს. შრიმადონას შიშით გული წაუვიდა, ტენონს დაევიწედა თავისი აღთქმა და ფაჩა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურნებდა სცენიდან. ვიწთავა გამოექანა ორკესტრისაკენ და ჩაუტა კალთაში შედოეს, რომელიც შიშისგან სულ მთლად დაიკარგა და გაქანა კარებისაკენ; იმის თან მიჰყუნენ სხვა მუზიკანტებიც. ვიწთავა გადახტა შარტრში და ერთი აღთქმითი აქსტეს იქ მსხდომი მანდილოსნებ შორის: ერთი ნაწილი საზოგადოებისა სიცილს ძლიერ იტყუდა, მუარეს კი ისტორიკა მოსდიოდა. ბოლოს, საქმე გათავდა იმით, რომ ერთმა იქ მყოფმა აფიცურთაგანმა დაჰკვლა ხმლით საშიშრად გაშინებულნი მხეცნი. ამის შემდეგ ყველანი დაშვიდნენ და წარმოდგენა ჩვეულებისამებრ გათავდა.

რეცეპტი

გასათხოვარ ქალებს.

თავში ტებილი—ბოლოს მოიომ,
დატოვილი მაქვს, გამწარდება;
სულთქმა-ოხერა გვიანლა,—
მერე აღარ გამოდგება!

რაც გირჩიოთ მე მოხუცმა,—
სჯობს რეცეპტით შეინახოთ;
თუ არ გინდათ ჯერ სიცილი
ბოლოს ყველამ შეინახოთ!

«სიყვარულის ორი უნცი
თანაგრძნობის გრანი ერთი—
«ორივე ერთად შეაზავეთ,
«ყველას ასეთ თითო წვეთი.

«უბნე გრძნობა, ნარ-ნარ ქცევა
«ერთსა წრეში ჩააყენეთ—
«მეტ სურვილსა და სიცილსა
«ხი, უთხარით, შეაყენეთ.

ქვიში სენაველი.